ფასი 15 კაპ.

# სალიტერატურო გაზეთი

№ 3 | საქ. საბჭ. მწერლების ფედერაციის ათდღიური გაზეთი | № 3
1931 წ. ნოემბრის 21

## პროლეტარული ლიტერატურის გენერალური თემა

**პარტიის მოწოდება: „საუკეთესო მუშების, საუკეთესო სპეციალისტების,** საუკეთესო სამეურნეო მუშაკების, **საუკეთესო აგრონომების, საუკეთესო ქარხნების და მაღაროების, საუკეთესო საბჭოთა მეურნეობების** და კოლმეურნეობების სახელი **მთელმა ქვეყანამ უნდა იცოდეს“ — პირველ ყოვლისა პროლეტარულ მწერლობას** აკისრებს უდიდეს ამოცანებს. საჭიროა შრომის გმირების, **ხუთწლედის ენტუზიასტების გამოცდილების** და ცოდნის გავრცელება, **საჭიროა, რომ საბჭოთა კავშირის** და მთელი ქვეყნის მშრომელი მასები იცნობდენ ხუთწლედის ამ გმირებს.

პროლეტარული ლიტერატურის ნამდვილ გმირებათ დღეს უნდა გახდენ სოციალისტური აღმშენებლობის გმირები — **დამკვრელები.** მწერლობამ უნდა გვიჩვენოს ჩვენი ეპოქის თავდებითი ტიპები — დამკვრელი მუშები.

ხუთწლედის გმირების ჩვენებაში იყრის თავს ეხლა პროლეტარული ლიტერატურის შემოქმედების ყველა ძირითადი საკითხები.

სოციალისტური მშენებლობის ენტუზიასტების ჩვენება წარმოადგენს დღეს პროლეტარული ლიტერატურის გენერალურ თემას. სოც-შეჯიბრების გმირების, დამკვრელი მუშების გარეშე დღეს არ შეიძლება შეიქმნას დიდი ლიტერატურა.

გმირების ჩვენების საკითხი უნდა გავიხილოთ პროლეტარული ლიტერატურის მსოფლიო ისტორიულ ამოცანების საფუძველზე, ე. ი. ყველაფერ იმის საფუძველზე, რასაც დღეს ჩვენ ვაერთიანებთ ბოლშევიზმის დიადი ხელოვნების შექმნის ლოზუნგს ქვეშ.

რას წარმოადგენს ისეთი მოვლენები, როგორიც არის დამკვრელობა, სოც-შეჯიბრება, **კოლ-მოძრაობა** და ა. შ. ? — ეს არის კაცობრიობის საზოგადოებრივ პრაქტიკის ჯერ არ ნახული მაღალი ფორმა, კაცობრიობის ისტორიის ახალი ფურცელი, როდესაც მშრომელი მასები ამყარებენ ახალ შინაარსიან ურთიერთობას ადამიანებს შორის, როდესაც გასაქანი ეძლევა მშრომელი მასების ნიჭს და უნარს, როდესაც მოქმედებაში შედის სრულიად ახალი კანონზომიერება, რომელიც აყალიბებს ახალ სოციალისტურ ადამიანს.

ჩვენ ამ დიადი საქმის ჩასახვის, განვითარების დროს ვცხოვრობთ, ვმონაწილეობთ მასში. პროლეტარული ლიტერატურის მსოფლიო ისტორიულ ამოცანას წარმოადგენს ყველაფერ ამის ჩვენება.

ამ ლოზუნგის განხორციელების საქმეში მწერალი ბევრ სიძნელეს ხვდება. მუშაობის ეს სფერო ახალია. ამიტომ საჭირო ხდება სრულიად დამოუკიდებელი მუშაობა. უნდა ვეძიოთ საუკეთესო გზები, რათა ქვეყანას ვუჩვენოთ სოციალისტური მშენებლობის საუკეთესო, მოწინავე ადამიანები.

ამ საქმეში უძლური გამოჩნდება ის მწერალი, რომელიც არ იქნება შეიარაღებული თავისი კლასის თეორიით — მარქსიზმ — **ლენინიზმით,** უძლური აღმოჩნდება მწერალი, რომელსაც არ შეეძლება ცხოვრების ანალიზი მთელი თავისი წინააღმდეგობებით, რომელიც ვერ შესძლებს მოვლენების ზედაპირის იქით დაინახოს [illegible] შინაარსი. ამ საქმეში უდიდეს მტერს წარმოადგენს ემპირიზმი, სქემატიზმი და ზერელე ფაქტოგრაფია.

ხუთწლედის გმირების მხატვრული ჩვენება ჩვენში ჯერ კიდევ [illegible] ობს. პროლეტარული მწერლების საგრძნობმა ნაწილმა დაუშვებელი გულგრილობა გამოიჩინა ამ დიდი საქმისადმი.

გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს მემარჯვენე — ოპორტუნისტულ განწყობილებებს, რომელიც მდგომარეობს ხუთწლედის გმირების ჩვენების შეუფასებლობაში, რომელსაც ადგილი აქვს ცალკეულ პროლეტ-მწერლებში, რომლებიც „მე-[illegible]“ [illegible] ამ საქმეს.

ამ ამოცანის განხორციელების გარეშე პროლეტარული მწერლობა ყოველთვის ჩამორჩება უკან რეკონსტრუქციის დიად ეპოქას, ამ ამოცანის განხორციელების გარეშე არ შეიძლება ლაპარაკი პროლეტარული მწერლების ნამდვილ გადახალისებაზე.

მთელი ჩვენი ყურადღება სოციალისტური ქვეყნის მშენებლობის მხატვრულ ჩვენებას!

## რომენ როლანის წერილი

### სალამი ამომავალ მზეს!

ხელოვანს, თუნდაც ის მონაწილეობას იღებდეს როგორც მე, თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არ შეუძლია თავის თავი ჩასთვალოს საკმაოდ კომპეტენტურად, რათა გამოსთქვას თავისი აზრი ეკონომიკისა და მრეწველობის საკითხებზე; როცა ესმის ამბები იმ უდიდეს აღმშენებლობის შესახებ, რომელიც სწარმოებს საბჭოთა კავშირში, მას შეუძლია გამოსთქვას მხოლოდ თავისი აღტაცება, მისი ასეთი მძლავრი გაქანების გამო.

მაგრამ არის სფერო, რომლის შესახებაც მას შეუძლია ილაპარაკოს, ვინაიდან ის მას ეკუთვნის კანონით, — ეს არის ადამიანის აზროვნების სფერო და, აქაც ის სიხარულით უნდა მიესალმოს საბჭოთა კავშირის მიღწევებს. საბჭოთა კავშირში იქმნება არა მარტო გიგანტური ფაბრიკები და ძლიერი მანქანები. იქ — და ეს ჩემი აზრით ყველაზე უფრო მაღალი და უმშვენიერესია, — იქმნებიან მილიონობით ახალი ადამიანები, მთელი თაობა უშიშარ, ჯანმრთელ, ღონიერ, უანგარო ადამიანებისა, რომელთაც აღფრთოვანებს ახალი ქვეყნის ანთებული რწმენა.

დაჩანაგებულ კაცობრიობას, რომელშიაც ცეცხლი ქრება, სასიკვდილო ხმაურებით სავსე უნაყოფო ღამეში თქვენ აწვდით, ახალი დღის ლამპარს, იდეალს, რომელიც ეყრდნობა რეალურ სინამდვილეს და მთელ ნაკადს ახალგაზრდა ენერგიისა, რომელსაც შეუძლიან განახორციელოს ეს იდეალი.

დასავლეთის ბინდში მყოფნი ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ინთება აღმოსავლეთში ახალი დღის განთიადი, განთიადი ყოვლის შემძლე შრომისა, რომელიც აყურებს ახალი ეპოქის [illegible] ჰორიზონტებს.



რ. როლანი.

სალამი ამომავალ მზეს! მე ვეგებები მას, მე მოვდივარ თქვენთან. მე მომყავს თან ისინი, რომელნიც, როგორც მე, მობრუნდენ პირით სინათლისაკენ, სახარების სიტყვებით რომ ვსთქვათ: „დეე მკვდრებმა დამარხონ თავიანთი მკვდრები“.

თქვენ, ამხანაგებო, განსაკუთრებით თქვენს ახალგაზრდობას, მე შემიძლია გითხრათ მხოლოდ ერთი: დაბრკოლებებისა და საშიშროების დროს, რომელიც თქვენ გადაგეღობებიან წინ, როცა დაღლილობის სიმძიმე დააწვება თქვენს მხრებს, გახსოვდეთ ყოველთვის, რომ ჩემი გმირის ჟან კრისტოფის მსგავსად, თქვენ მიგყავთ მხრებით კაცობრიობა. თქვენ გადაგყავთ იგი ნიაღვარზე; დეე თქვენივე ტვირთი იყოს თქვენი გამამხნევებელი: თქვენ იბრძვით კაცობრიობისათვის. არ არსებობს ხვედრი უფრო დიადი.

## ლენინური ეტაპისათვის ლიტერატურის მეცნიერებაში

სოციალიზმის პერიოდში შესვლა, სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის ამოშენება მიმდინარე წელში, კლასობრივ ძალების გადაჯგუფება, რომელიც ხდება ჩვენს ქვეყანაში — იწვევს კლასთა ბრძოლის უკიდურეს გამწვავებას.

სოციალისტური ძალების წინსვლა, კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, იწვევს კლასიური მტრების გააფთრებულ წინააღმდეგობას.

ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე პერიოდი ახალი სახით სვამს პრობლემებს იდეოლოგიური ფრონტის ყველა სფეროებში.

უკანასკნელ ხანებში ჩატარებული დისკუსიები თეორეტიულ ფრონტზე — ფილოსოფიის, ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ლიტერატურის მეცნიერების და სხვ. დარგებში წარმოადგენს გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის ერთ-ერთ სახეობას.

იმ როლისაგან, რომელსაც ასრულებს თეორია კლასთა ბრძოლის პრაქტიკაში, აუცილებლათ გამომდინარეობს ის, რომ თვით თეორია ხდება კლასთა ბრძოლის ასპარეზათ. კლასიური ინტერესები ეხება თეორეტიული ფრონტის ყველა დარგებს (მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება და სხვა). უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი მავნებლური ორგანიზაციები, რომლებიც ამზადებდენ კაპიტალისტურ ინტერვენციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თავიანთ მავნებლურ პრაქტიკას საფუძვლათ მავნებლურ „თეორიებს“ უდებენ (კონდრატიევ-გრომანის „გენეტიკურ-[illegible] თეოლოგიაზე“, რუბინის მენშევიკურ - იდეალისტური ეკონომიური თეორია, პერევერზევის შეხედულებანი ლიტერატურის მეცნიერებაში და სხვ.).



ამხ. ლ. ბერია
საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას პირველი მდივანი და ა.კ.პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის მეორე მდივანი.



ამხ. მ. ორახელაშვილი
საქ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი



ამხ. ვ. პოლონსკი
აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცეკას პირველი მდივანი და საქ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის მესამე მდივანი

გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის პირობებში განსაკუთრებით მკვეთრად დაისვა პლეხანოვის თეორეტიული მემკვიდრეობის გადაფასების საკითხი.

გავრცელებული იყო შეხედულება, რომელსაც განსაკუთრებით ენერგიულად იცავდენ მომენშევიკო — იდეალისტები (დებორინი და სხვ.), რომ თითქოს ერთია პლეხანოვი პოლიტიკოსი და მეორე თეორეტიკოსი, რომ ერთია პლეხანოვის პოლიტიკური მენშევიზმი და მეორე მისი ფილოსოფიურ-ესტეტიურ - ლიტერატურული შეხედულებები. მაგრამ ეს უდავოდ შემცდარი მოსაზრება იყო. პლეხანოვ-პოლიტიკოსსა და პლეხანოვ - თეორეტიკოსს შორის არ არის განსხვავება. პლეხანოვი მთლიანი ფიგურაა, რომელიც ერთნაირ თვალსაზრისს ატარებდა დაწყებული პოლიტიკიდან და გათავებული ხელოვნება - ლიტერატურით და ფი[illegible] პლეხანოვის პრაქტიკა კლასთა ბრძოლაში და მისი თეორეტიული შეხედულებანი უწყვეტ ერთიანობაში იმყოფება. მენშევიზმი პოლიტიკაში, ობიექტივიზმი ფილოსოფიაში, ისტორიაში, ხელოვნებაში და ლიტერატურაში—აი პლეხანოვის მთლიანი სახე. პლეხანოვი მენშევიკი პოლიტიკაში, მენშევიკი ისტორიული პროცესის გაგებაში, არ შეიძლება სხვა ყოფილიყო ფილოსოფიის ან ხელოვნება - ლიტერატურის საკითხებში.

რა საფუძვლებიდან, რომელი თვალთახედვიდან უნდა გამოვდიოდეთ პლეხანოვის მემკვიდრეობის შეფასების დროს?—ლენინის შეხედულებათა საფუძველზე უნდა იქნას გადაფასებული პლეხანოვის თეორეტიული შეხედულებები, ლენინის დიალექტიკის საფუძველზე უნდა იქნას გარკვეული პლეხანოვის საერთო - მეთოდოლოგიური თვალთახედვა.

გადამწყვეტ, არსებით პირობას ლიტერატურის მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის წარმოადგენს ლენინის თეორეტიულ მემკვიდრეობის შეთვისება და დამუშავება. ლენინს აქვს უდიდესი სიმდიდრე, რომელიც ჩვენ უნდა შევითვისოთ და დავამუშაოთ ლიტერატურის მეცნიერების დარგში.

დღეს ჩვენი გადაუდებელი ძირითადი სამოქმედო პროგრამა უნდა იყოს ბრძოლა ლენინიზმისათვის ლიტერატურის მეცნიერებაში.

აქამდე ლენინის, როგორც თეორეტიკოსის როლს განზრახ ჩქმალავდენ. ამ საქმეში განსაკუთრებული „დამსახურება“ მიუძღვის დებორინის მომენშევიკო იდეალისტურ შკოლას. ეს შკოლა სრულიად ვერ აფასებდა ლენინის თეორეტიულ როლს ფილოსოფიაში, ესტეტიკაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში.

ის ვერ აფასებდა რომ ლენინი იყო არა მარტო დიდი პრაქტიკოსი, პროლეტარიატის ბელადი, არამედ იგი იყო ამავე დროს უდიდესი თეორეტიკოსი, რომელმაც მარქსიზმი აიყვანა ახალ საფეხურზე.

როდესაც ვიბრძვით ბოლშევიკურ ლიტერატურის მეცნიერებისათვის, აუცილებელია გამოვარკვიოთ ის სხვაობა, რომელიც არსებობს ლენინის და პლეხანოვის მეთოდს შორის. აქ ჩვენ არსებით, ძირითად განსხვავებას ვნახავთ. პლეხანოვის მეთოდს ახასიათებს ანტიისტორიზმი, აბსტრაქტულობა, გადაჭარბებული ლოგიზაცია, ანტი-დიალექტიკა და სხვ. ლენინის მეთოდს კი ყოველთვის ახასიათებდა კონკრეტულ - ისტორიული პირობების გათვალისწინება, ცოცხალ საზოგადოებრივ ძალების ანალიზი, მოვლენებისადმი დიალექტიური მიდგომა, პარტიული თვალსაზრისი და სხვ.

ლენინის წერილები ტოლსტოის შესახებ წარმოადგენს ლიტერატურის საკითხებში დიალექტიკის მიხმარის იშვიათ ნიმუშს. ის, რაც ლენინს ყოველ თავის შრომაში ახასიათებს, ამ წერილებში განსაკუთრებით სიძლიერით მოჩანს: კონკრეტულ-ისტორიული და ღრმა პარტიული თვალსაზრისი.

ლენინი მხატვრულ ნაწარმოებს არ აშორებდა ისტორიულ პირობებს. ის



ამხ. პ. მელაძე
საქ. კომ. პ. (ბ) ცეკას მეორე მდივანი

არჩევდა ნაწარმოების იდეურ მიმართულებას, კლასიურ სახეს. ის მწერალს და ნაწარმოებს ყოველთვის პარტიული თვალთახედვით უდგებოდა, მაგრამ ამავე დროს არკვევდა ნაწარმოების ისტორიულ შინაარსს, მის ხასიათს იდეების მხრივ.

ლენინი ნაწარმოების და მწერლის შეფასების დროს სრულად ითვალისწინებდა საზოგადოებრივ მოვლენების ურთიერთობას კლასიურ ბრძოლაში.

ტოლსტოის მოძღვრების და შემოქმედების გარკვევაში და გათვალისწინებაში ლენინი ძირითადად უპირისპირდება პლეხანოვს. ამ უკანასკნელის აბსტრაქტიულობას ლენინი უპირისპირებდა მოვლენების კონკრეტულ-ისტორიულ პირობების გარკვევას.

გარდა ტოლსტოისა ლენინს სპეციალურად და კონკრეტულად თითქმის არცერთი მწერლის ან ლიტერატურული პრობლემის შესახებ არაფერი დაუწერია. მაგრამ შემცდარი იქნება მოსაზრება, რომელიც ფიქრობს თითქოს ლენინის სხვა ხასიათის ნაწერებში ცოტა მასალა იყოს ხელოვნების და ლიტერატურის თეორიის სა-

მრავლად ვპოულობთ ისეთ აზრებს, რომელთაც უახლოესი კავშირი აქვს ხელოვნების და ლიტერატურის სპეციფიურ პრობლემებთან. შემეცნების მატერიალისტური გაგება, შემეცნების კავშირი კლასიურ პრაქტიკასთან, შემეცნების სხვადასხვა პერიოდების და ფორმების სპეციფიურობა, აზროვნების და შეგრძნების ურთიერთობა, შეფასების პრობლემა, გენეზისი და ფუნქცია, კლასიური ეკვივალენტის პოვნა, ფორმის და შინაარსის ურთიერთობა, მხატვრულობის პრობლემები და სხვ. საკმაოდ არის გარკვეული ლენინის ნაწერებში. ლენინი საუკეთესო სქემას იძლევა ლიტერატურის ისტორიის სისტემატიური კურსის დასაწერად. მის მიერ აღნიშნული კაპიტალიზმის განვითარების ორი გზის (პრუსიული და ამერიკული) გათვალისწინების ნიადაგზე.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ერთ პრობლემაზე, რომელიც ფართოდ დააყენა ლენინმა. ეს არის თეორიის პარტიულობა. თეორია იყო და არის უაღრესად პარტიული. ლენინი არა ერთხელ აღნიშნავდა თეორიის პარტიულ ხასიათს.

თავის ცნობილ შრომაში **„მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“** ლენინი ფილოსოფიას საზღვრავდა როგორც პარტიულ მეცნიერებას, ამხელდა რევიზიონისტებს, რომლებიც იცავდნენ თავიანთ არაპარტიულობით ფილოსოფიაში. ლენინი ამტკიცებდა, რომ არ არის და არ შეიძლება იყოს უპარტიო ფილოსოფია, რომ ადამიანები, რომლებიც იცავენ თავიანთ არაპარტიულობას, სინამდვილეში ეკუთვნიან რეაქციონურ ფილოსოფიას, რომელიც იცავს ბურჟუაზიის დიქტატურას. „მარქსი და ენგელსი,—სწერდა ლენინი,—თავიდან ბოლომდე პარტიულები იყვნენ ფილოსოფიაში“. სხვა ადგილას იმავე შრომაში ლენინი სწერდა: „მატერიალიზმი გულისხმობს ასე ვსთქვათ პარტიულობას, ყოველგვარი მოვლენის შეფასების დროს აუცილებლად დგომას პირდაპირ და საჯაროთ გარკვეულ საზოგადოებრივ ჯგუფის თვალსაზრისზე“.

მსგავსად იმისა, როგორც ფილოსოფოსი ვალდებულია იყოს პარტიული, ასევე ლიტერატურის მეცნიერიც ყოველთვის და ყოველ პირობებში [illegible] თვალსაზრისზე. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნება ლიტერატურათმცოდნეობა კლასიური მეცნიერება.

ლენინის მიერ თეორიის პარტიულობის მკვეთრ დაყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეს ჩვენი ლიტერატურის მეცნიერებისათვის.



ამხ. ბიორი ჟურულაშვილი
საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მესამე მდივანი

თუ არ დავამუშავებთ, არ მოვიხმარეთ სათანადოთ ლენინის მემკვიდრეობა ისე პროლეტარული მწერლობა ვერ გადასწყვეტს თავისი თეორიის და შემოქმედებითი მეთოდის ვერც ერთ კარდინალურ საკითხს, ვერ გახდება დიდი ეპოქის მწერლობა. სამწუხაროთ ლენინის მემკვიდრეობის შეთვისების საქმეში ჩვენი პროლეტარული ლიტერატურა ძლიერ ნელი ნაბიჯით მიდის წინ.

როდესაც ვლაპარაკობთ ლენინის მემკვიდრეობის შეთვისებაზე, არ შეიძლება საქმე ისე წარმოვიდგინოთ თითქოს ყველაფერი ეს მშვიდათ მიმდინარეობდეს. ლენინის მემკვიდრეობის შეთვისება ნიშნავს ბრძოლას მარქსიზმისადმი მტრულად განწყობილ კონცეპციებისადმი, ყოველი სახის ოპორტუნიზმისადმი და დამახინჯებათადმი.

ამგვარად, **დღეს ჩვენს გადაუდებელ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ლენინის მემკვიდრეობის შეთვისება, ბრძოლა ლენინიზმისათვის ლიტერატურის მეცნიერებაში.**

მთელი ჩვენი ყურადღება ამ ამოცა-

რაჟდენ გვეტაძე

# მწერლობის ზოგიერთ საკითხზე

[illegible]

ს. შანშიაშვილი

# ეპოპეია 26 კომუნარზე

[illegible]



ს. შანშიაშვილი.

[illegible]

21 ნოემბერს, საღამოს ზუსტ 7 საათზე,
ი. ნინოშვილის სახელობის მწერალთა სასახლეში

მოხსენება

## პოეზიის საწარმოო თათბირი

მომხსენებლები: ალ. სულავა,
კონსტ. ლორთქიფანიძე.

საქ. პრ მწ ასოციაციის სამდივნო.

ალ. სულავა

# შემოქმედებითი დისკუსიისათვის

[illegible]

# შირაქის ნავთი

[illegible]

# იდეალიზმის ნარჩენების გამოცოცხლება

[illegible]

„О философии Грибоедова".

[illegible]

(გაგრძელება მე-4 გვ.)

კ. მელაძე

# მემარჯვენე ტენდენციების წინააღმდეგ

## (ნ. მიწიშვილის წერილის გამო)

[illegible]

